ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/დ 1197-18

"26" 06 2018 წ.

დადგენილება №000138
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

26.06.2018წ. ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 25 ივნისის №000138 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს** (ს/კ №202177205; მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №5) მიმართ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №63, ტერიტორიის მიმდებარედ, საკ. კოდი №01.19.21.001.118-ზე, შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს მიერ, განხორციელდა სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ; დემონტირებულია არსებული შენობა და მოწყობილია კაპიტალური და ლითონის კონსტრუქციის შენობა.

2018 წლის 25 ივნისს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000138 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს გენერალური დირექტორის წარმომადგენლის გიორგი ხმელიძის 2018 წლის 18 ივნისის №10/01181691730-17 განცხადება და ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №63, ტერიტორიის მიმდებარედ, საკ. კოდი №01.19.21.001.118-ზე, შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს მიერ განხორციელდა სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, კერძოდ, დემონტირებულია არსებული შენობა და მოწყობილია კაპიტალური და ლითონის კონსტრუქციის შენობა.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო

პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით, **დავადგინე:**

1. **შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"** დაჯარიმდეს 8000 (რვა ათასი) ლარით, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №63, ტერიტორიის მიმდებარედ, საკ. კოდი №01.19.21.001.118-ზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, არსებული შენობის დემონტაჟისათვის და კაპიტალური და ლითონის კონსტრუქციის შენობის მოწყობისათვის.

2. **შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს** დაევალოს, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი №63, ტერიტორიის მიმდებარედ, საკ. კოდი №01.19.21.001.118-ზე, უნებართვოდ მოწყობილი კაპიტალური და ლითონის კონსტრუქციის შენობის დემონტაჟი.

3. **შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს** დაევალოს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე მამუკა ჯაყელი

საგადახდო დავალება
Payment Order

1530253467

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 29/06/2018

გადამხდელი / Sender

შპს " თეგეტა მოტორსი ", 202177205

რეფერენსი / Ref. Num.

2112682222

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE80TB0600000024467853

თანხა / Amount

8,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

რვა ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს " თეგეტა მოტორსი ", 202177205*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 202177205

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

29/06/2018

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილების ნომერი N 000138

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

დასტურდება ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

მწვანე წარგავების ხარისხობრივი შეფასების თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

02-22/ 215
დასკვნის ნომერი

25.06.2018
დასკვნის მომზადების თარიღი

25.06.2018
დასკვნის გაცემის თარიღი

1	საფუძველი	შპს "თეგეტა მოტორსის" 2018 წლის 18 ივნისის განცხადება # 10/01181692550-65
2	განმცხადებელი/უფლებამოსილი პირი	შპს "თეგეტა მოტორსი"

პ/ნ: 202177205
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი

3	საექსპერტო ობიექტის მისამართი	ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი # 63	ს/კ >>	01.19.21.001.118

4 საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება / კვლევის მეთოდი

საექსპერტო ობიექტი მდებარეობს კახეთის გზატკეცილის ვაკე ადგილზე. დამკვეთის მოთხოვნით აღწერა - შეფასება ჩაუტარდა 1 ხემცენარეს. შეფასებული ხემცენარის გარდა ობიექტზე სხვა მწვანე ნარგაობა არ ფიქსირდება. ხემცენარის აღწერა ჩატარდა ტაქსაციური გაზომვებითა და ვიზუალურად.

5 საექსპერტო ობიექტზე არსებულ მცენარეთა დახასიათება

მცენარის #	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (1.3 მ-ზე)	D (0.1 მ-ზე)	H	ასაკი*	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ჰიმალაური კედარი Cedrus deodara	ხე		52.5	14, 0		ჯანსაღი	

6 ინფორმაცია მცენარეებთან დაკავშირებულ მავნებელ დაავადებათა შესახებ

მცენარის #	სახეობა	მავნებლები და დაავადებები	რეკომენდაციები
...			
...			
...			
...			

7 საექსპერტო ობიექტის თაობაზე საერთო დასკვნა

ობიექტზე აღწერილია 1 ჯანსაღი ჰიმალაური კედარი (Cedrus deodara), რომელიც სამშენებლო პროექტის მიხედვით რჩება ადგილზე.

8 დანართი: კვლევის ამსახველი ფოტო-მასალა — კვლევის ამსახველი ფოტო - მასალა ჩაწერილია CD დისკზე (2 ფოტოსურათი).

9 საექსპერტო ჯგუფის წევრ(ებ)ი

ხელმოწერა

სვეტლანა ხმალაძე

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა კოლექციების განყოფილების უფროსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

* შენიშვნა: ასაკის განსაზღვრა ხდება მხოლოდ საქართველოს წითელ ნუსხაში რიცხულ მერქნიან მცენარეებზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181841823**

თარიღი: **03.07.2018**

ადრესატი:
თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 02 ივნისის #60-01181832013 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მოქალაქე გიორგი ხმელიძის №AR1607573 განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს, შპს „თეგეტა-მოტორსი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გზატკეცილი კახეთი, #63, ს/კ: 01.19.21.001.118) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას).

გაცნობებთ, ვინაიდან არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 1 ერთეული კედარი, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარის შენარჩუნების შემთხვევაში.

აქვე მოგახსენებთ, რომ მშენებლობის მიზნით (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელისა) ნებართვის მიღებამდე საჭიროა მომზადდეს და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან შეთანხმდეს სამშენებლო ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელშიც შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი და გადასარგავი ხე-მცენარეები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით. გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი კვიპაროსის სახეობისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის; ამდენად, განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს წიწვოვანი ანდა ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ- 14 სანტიმეტრი)).

ასევე მოგახსენებთ, რომ განმცხადებელმა დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა უნდა ატვირთოს სამშენებლო ობიექტზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია (შესაბამისი ბანერი).

პატივისცემით,


გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი

შ.პ.ს "კირკიტაძე და კომპანია" (ს/64162940067)

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

გენგეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძს	საცხ. შენობა	ხის ღობე	წყალგაყვანილობა
ძა	არასაცხ. შენობა	ღობე	გაზი
	ფარდული	ქვის კედელი	
	მშენებარე	კედელი	კანალიზაცია
	შენობა	ფლატე	სანიაღვრე
	წიწვოვანი ხე	რკინიგზა	კავშირგაბმულობა
	ფოთლოვანი ხე		
	ხილკენკროვანი	სამეთვალყურეო ჭები	ელ. ქსელები
	მცენარე	ელ. გადამცემი ხაზი	გათბობა
	გარე განათება		

შენიშვნა: 1) ——— გებგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები

2) ვინაიდან გებგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ქველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შ.პ.ს. "კირკიტაძე და კომპანია" (ს/64162940067)

კოკინის ქ. №27/10 ტ: 2 37 23 00 მობ: 5 99 56 22 76, ფაქსი: 2 37 23 00

L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

Pekini str. N 27/10 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00

www. kirkitadze.ge kirkitadze@mail.ru

დირექტორი:		რ. კირკიტაძე
არქიტექტორი:		ი. კეკელია
დამკვეთი		შ.პ.ს "თეგეტა-მოტორსი"
მასშტაბი: 1:500		18.07.2018წ.

შპს თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS LTD

№0927/01.08.2018წ.

სს „სილქნეტს“

გაცნობებთ, რომ შპს „თეგეტა მოტორსი“ (ს/კ202177205) აწარმოებს საგამოფენო დარბაზის სამშენებლო პროექტის შეთანხმებას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.19.21.001.118. გამომდინარე იქიდან რომ ამავე ნაკვეთზე განთავსებულია სს „სილქნეტის“ საკომუნიკაციო ჭა და ხაზოვანი ნაგებობა, სსიპ „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური“ ითხოვს თქვენს, როგორც ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრის თანხმობას.

გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

პ.სამხარაძე

ინფრასტრუქტურული განვითარების

დეპარტამენტის უფროსი

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
#5, 12 km, D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi, Georgia. ID: 202177205
☎+99532 224 44 44 www.tegetamotors.ge

საკონტაქტო პირი:
გიორგი ხმელიძე 591707171

სს სილქნეტი
№ 8/4556
01.08.2018
1

595995151

საქართველო, 0131 ქ. თბილისი
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№5.
ტელეფონი: 224 44 44
ფაქსი: 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

საბანკო რეკვიზიტები:
"TBC– ბანკი"
SWIFT: TBCBGE22
ა/ბ GE80TB0600000024467853
მიმღები: შპს "თეგეტა მოტორსი"
საიდ/კოდი: 202177205

#5, 12–km. D. Agmashenebeli Alley,
0131 Tbilisi. Georgia
Tel: +99532 224 44 44
Fax: +99532 224 44 44 (1119)
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge

Beneficiary's Bank: TBC BANK
11. Chavchavadze Ave., 0179 Tbilisi. Georgia
SWIFT: TBCBGE22830
BEN'S Account: GE83TB0600000061070209
NAME OF BENEFICIARY: TEGETA MOTORS LTD

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია

N 3517/24-3 "3" 08 2018

შპს „თეგეტა მოტორსი"-ს ინფრასტრუქტურის განვითარების
დეპარტამენტის უფროსს პ. სამხარაძს, ტელ: 591-707-171

მოგესალმებით,

თქვენგან შემოსული წერილი (0927/01.08.2018)-ს თანახმად, რომელიც ითვალისწინებს მის. კახეთის გზ-63-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.19.21.001.118) საგამოფენო დარბაზის მშენებლობას, სადაც გსურთ შეგითანხმოთ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნამდვილად ფიქსირდება სს „სილქნეტი"-ს კუთვნილი კომუნიკაცია, რომელიც არ წარმოადგენს მშენებლობისთის ხელის შემშლელ ფაქტორს.

სს „სილქნეტი" გასცემს თანხმობას წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ჩატარდეს დანართი #1-ს სრული დაცვით.

დანართი: 1. შეთანხმება #1.
2. გენ-გეგმა 1-ფურცელი

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
რევაზ ღვინიაშვილი

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ: (+995 32) 2 100 100

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Phone: (+995 32) 2 100 100
Fax: (+995 32) 2 100 001

ქ. თბილისი

შეთანხმება # 8/4556

დანართი #1

02 / 08 2018 წ.

სს „სილქნეტი“ თანახმაა, ქვემოთ მოცემული პირობების დაცვით შესრულდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები:

- სს „სილქნეტის“ ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში გაკეთდეს საკონტროლო შურფები და ხაზოვანი ნაგებობის უკიდურესი მარჯვენა და მარცხენა წერტილებიდან ორივე მხარეს 1-1 მეტრის პერიმეტრზე გათხრითი სამუშაოების წარმოება მოხდეს ხელით;
- სამუშაოების მსვლელობისას შენარჩუნებულ იქნას ხაზოვანი ნაგებობის სწორხაზოვნება;
- სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდეს ხაზოვანი ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა;
- იმ შემთხვევაში, თუ ხაზოვანი ნაგებობა წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას სამშენებლო სამუშაოებისათვის ან/და სამშენებლო სამუშაოებისას არსებობს ამ კომუნიკაციების დაზიანების საშიშროება, მოხდეს შეთანხმება და მომზადდეს პროექტი არსებული წესით აღნიშნული კომუნიკაციების დროებით(შემდგომში პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით) ან მუდმივად გადატანის მიზნით;
- თუ სამუშაოების დაწყების მომენტში სამშენებლო მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდება შეთანხმების გაცემის შემდგომ სს „სილქნეტის“ მიერ აშენებული ხაზოვანი ნაგებობა, შეჩერებულ იქნას სამუშაოები და შესაბამისი განცხადების საფუძველზე მოხდეს განმეორებით შეთანხმება არსებული წესით.
- იმ შემთხვევაში, თუ სს “სილქნეტი“-ს მიერ წარმოდგენილი ან რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის კოორდინატები განსხვავდება რეალობისგან, განმცხადებელი ვალდებულია:

  ა) დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

  ბ) აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს “სილქნეტის“ წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის (Info.Center@silknet.com) და შეთანხმების ბეჭედზე მითითებული ტელეფონის ნომრის საშუალებით.
- წინამდებარე ნებართვის გაცემით, ნებართვის მიმღები ადასტურებს თავის ვალდებულებას უზრუნველჰყოს სს „სილქნეტი“-სთვის ანალოგიური ნებართვის გაცემა მის მიერ წინამდებარე ნებართვაში მითითებულ (ან მის მიმდებარედ არსებულ) ტერიტორიაზე ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის დაწყების ან/და სარეკონსტრუქციო/სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების შემთხვევაში.

შეთანხმება ძალაშია ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შესრულების შემთხვევაში:

1. სს „სილქნეტი“-ს თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ 24 სთ-ნი დაშვება აღნიშნულ ნაკვეთზე.
2. კომუნიკაციის დაზიანების აღდგენის შემდეგ მიწის საფარის პირვანდელი სახის დაბრუნებას შეასრულებს ნაკვეთის მეპატრონე.
3. კომუნიკაციის დაზიანების აღდგენისთვის, იმ შემთხვევაში თუ საჭირო იქნება კომუნიკაციის გადატანა, კომუნიკაციის გადატანის ხარჯებს უზრუნველყოფს ნაკვეთის მეპატრონე.

სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გავრცობილი იქნას
სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული ბარათი: 2 85 00 28, 2 93 27 40
ტექნიკური განცხადება
თარიღი 02.08.18

1122/109-42
6.08.2018

ქ. თბილისის მერიას

გაცნობებთ რომ სს "თიბისი ბანკი" როგორც იპოთეკარი, თანახმაა ქონებაზე საკადასტრო კოდით: 01.19.21.001.118 განხორციელდეს III კლასის 481.1 კვ.მ საერთო ფართობის და 7მ-მდე სიმაღლის მქონე შენობის (საგამოფენო დარბაზი) მშენებლობა მხოლოდ ისე, რომ როგორც არსებულ ისე ახლადაშენებულ ქონებაზე სრულად გავრცელდეს სს"თიბისი ბანკი"-ს იპოთეკა.

სს "თიბისი ბანკის"
წარმომადგენელი

მერი ჩაჩანიძე /----------/

საქართველო, 0102 თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. #7

7 Marjanishvili Str.
0102 Tbilisi, Georgia

ტ/T: (+995 32) 227 27 27
ფ/F: (+995 32) 277 27 74

www.tbcbank.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57751672428718

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180001081

რეგისტრაციის თარიღი

03.01.2018 წ

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა
მისამართი: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7.
ტელეფონი: 593373834

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასთვრამეტი წლის სამ იანვარს მე, ნოტარიუს მედეა გვაზავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კ.მარჯანიშვილის №7, მომმართა **სს „თიბისი ბანკის"** (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან **სს „თიბისი ბანკის"** შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღაძაძემ,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **პაატა ღაძაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №78, კორ. №3, ბ. №10, პ/ნ №01023000307, ბარათის № 16IA73661,გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

ორიათასთვრამეტი წლის სამ იანვარს **სს „თიბისი ბანკის"** (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან **სს „თიბისი ბანკის"** შესახებ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17129749, 27/11/2017 18:06:08) გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ **პაატა ღაძაძემ** (დაბ. 24.10.1970 თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №78, კორ. №3, ბ. №10, პ/ნ №01023000307, ბარათის № 16IA73661,გაც.იუსტიციის სამინისტროს მიერ 07.02.2017) **მერი ჩაჩანიძეს** (პ/ნ №11001007323), შემდეგში "რწმუნებულს" წინამდებარე მინდობილობით მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

1. **მერი ჩაჩანიძე** უფლებამოსილია სს „თიბისი ბანკის" სახელით ხელი მოაწეროს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, იპოთეკისა და ნასყიდობის ერთობლივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, გირავნობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, უძრავი ნივთის განკარგვის შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, თავდებობის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, დირექტორის/პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ შეთანხმებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, ოვერდრაფტის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ბარათის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, აკრედიტივის ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს მათში ცვლილებების/დამატებების შეტანის შესახებ, სხვა სახის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს რომელთა დადებაც აუცილებელი იქნება აღნიშნული დავალების შესასრულებლად, აგრეთვე სს ''თიბისი ბანკის'' სახელით ხელი მოაწეროს კლიენტისათვის გასაგზავნ და კლიენტთან დაკავშირებით მესამე პირებისათვის გასაგზავნ ნებისმიერი სახის წერილებს/შეტყობინებებს;
2. ამ მინდობილობით **მერი ჩაჩანიძეს** ენიჭება უფლებამოსილება წარმოადგინოს და დაიცვას სს „თიბისი ბანკის" ინტერესები მესამე პირებთან ურთიერთობაში;
3. ეს მინდობილობა ძალაშია ორიათასთვრამეტი წლის სამი იანვრიდან ორიათასთვრამეტი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.
4. მინდობილობა გაცემულია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს მ. გვაზავას სანოტარო არქივში.

პაატა ღაძაძე:

საზღაური: 10.00 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად) და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად) დღგ: 1.80 ლარი, სულ: 11.80 ლარი. რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი დაკ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

საქართველო * GEORGIA * ნოტარიუსი მედეა გვაზავა * NOTARY MEDEA GVAZAVA * 01008018186